

№40
(10951)

ოქტომბერი. 1995 წ.
ფასი 30 თეთრი

გამოქვეყნდა 1934 წლის 13 აპრილიდან

სიხლდით, ახლავს განწყობით...

V ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ვაგეა შორის რამდენიმე სიხლდით დაიწყო. მთავარი ალბათ ისაა, რომ ფედერაციამ აირჩია ახალი პრეზიდენტი — ავთანდილ საყვარელიძე, რომლის მოსვლას ამ თანამდებობაზე ჩვენი საკალათბურთო სამყარო დიდ იმედებთან აკავშირებს. ახლახანს შინ დაბრუნდა რამდენიმე ლეგიონერი და იქნებ სწორედ ეს გახლავთ განახლებული ფედერაციის ყველაზე გამოკვეთილი ნაბიჯი, რაც, უდავოა, ქართული კალათბურთის საკეთილდღეოდ გადაიღება: „ვიტას“ დაუბრუნდნენ დერიუგინი, შელია და ბარამიძე. არის სხვა სიახლეც — „დინამოში“ გადავიდნენ კაქტუსელი ბერძენიშვილი, ხოშტარია, ჟღერტი, ვითაძან-დან — ბეგანიშვილი. „დინამოდან“ „ვიტაში“ გადავიდა ქარაბაი.

ჩემპიონატიში 11 გუნდი ჩაება (ორ ჯგუფად). ჯერ გაიმართა მატჩები პირველ ჯგუფში: „ქიმიკოსი“ (რუსთავი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 83:65; „დინამო“ (თბილისი) — „მაკაბი-ინტერი“ 129:66; „კაქტუსი“ — „კოლხა“ (სოხუმი) 91:32; „მაკაბი“ — „ქიმიკოსი“ 66:92; „კოლხა“ — „დინამო“ 35:102; „იმერეთი“ — „კაქტუსი“ 69:96; „ქიმიკოსი“ — „კოლხა“ 99:54; „იმერეთი“ — „მაკაბი“ 71:79; „კაქტუსი“ — „დინამო“ 76:89; „დინამო“ — „ქიმიკოსი“ 122:89; „კოლხა“ — „იმერეთი“ 63:78; „მაკაბი“ — „კაქტუსი“ 65:85; „იმერეთი“ — „დინამო“ 60:104; „მაკაბი“ — „კოლხა“ 93:55; „კაქტუსი“ — „ქიმიკოსი“ 92:61. ლიდერობს „დინამო“ — 10 ქ. შემდეგ მოდიან — კაქტუსი — 9, „ქიმიკოსი“ — 8, „მაკაბი-ინტერი“ — 7, „იმერეთი“ — 6, „კოლხა“ — 5.

**საქართველოს
პროფესიონალი
ჩემპიონატი
ფანჯურით**

**პირველი ჯგუფი
ბათუმის ცხრილი**

მდგომარეობა 23 ოქტომბრისათვის

კლუბი	თ.	გ.	წ.	ბ.	ქ.
„მარგეტი“	11	9	0	2	35-10 27
„მეტალურგი“	11	8	0	3	24-13 24
„სამტრედია“	9	7	2	0	28-11 23
„დინამო“ (თბ.)	9	6	2	1	21-5 20
„ტორპედო“	10	5	3	2	24-12 18
„შეგარდენი-1906“	11	6	0	5	19-18 18
„კოლხეთი“	9	5	2	2	17-12 17
„დილა“	9	5	2	2	17-10 17
„დინამო“ (ბთ)	8	4	3	1	13-6 15
„კახეთი“	11	4	2	5	10-16 14
„ივერია“	11	3	1	7	8-19 10
„დინამო“ (ზუგ.)	9	3	0	6	19-27 9
„ვერისი“	11	2	2	7	13-26 8
„სიონი“	11	2	0	9	9-26 6
„გურია“	11	2	0	9	9-27 6
„დურუჯი“	11	0	1	10	1-33 1

ახალი ფურსლები საოკოს ისტორიაში

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, მსოფლიო ოლიმპიურ სამყაროში სრული აღიარება მოიპოვა. სრული, ვამბობთ იმიტომ, რომ ერთია, როცა გადიარებენ, როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგით წევრს და გაცილებით მეტია, როცა ამასთან, ანგარიშს გინევენ, პატივს გცემენ, სხვისგან გამოგარჩევენ საქმიან და ნულით, რომელიც შეგქოვდა და შეგაქვს მსოფლიოს სპორტულ თანამეგობრობაში. ქ-ნ ნონა გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით ჩვენმა ეოკმა სწორედ ასეთი ავტორიტეტი დაიმსახურა. მაღალი სტუმრები ინტერესით ჩამოვიდნენ თბილისში, შარშან თვით სამარანჩიკ გვენია თავისი ამალით. სოკის პრეზიდენტს ვიზიტისას მოახსენეს, რომ ეოკის შტაბ-ბინის პირველ სართულზე ოლიმპიური მუზეუმი განთავსდებოდა, სამარანჩიკამ ამ საქმისთვის ფულად დახმარებაზე დაუყოვნებლივ მოანერგა ხელი. ახლა მუზეუმის გახსნას დაემთხვევა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის პრეზიდენტის, სოკის წევრის, დოქტორ ვაკ როგის სტუმრობა თბილისში.

ამ ერთ ნელინადში ბევრი

ვის იასკარუვებს ატლანტაში კლუს ილია ბიორბაკი

ჩვენი ქვეყნის იმ სპორტსმენთა რიგებს, რომლებმაც უკვე გაიხადეს გაისად ზაფხულის ოლიმპიადზე ატლანტაში გამგზავრების საგზური, ახლა 17 წლის ილია გიორგაძე მიემატა. იგი მეორე ტანმოვარჯიშე ვაჟი ოლიმპიელი იქნება საქართველოდან. ატლანტის საგზური მოპოვებულია მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გაიმართა ახლახანს იაპონიის ქალაქ საბაეში. (გამარჯვებულს მეორე გვერდზე გაეცნობით).

„სპარტაკ-ალანია“ — ჩემპიონი

რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის წოდება გათამაშების დამთავრებამდე, ერთი ტურით ადრე გაინაღდა ვლადიკავკასის „სპარტაკ-ალანია“, რომელმაც გადაწყვეტი შეხვედრა მოუგო მოსკოვის ცსკა-ს — 2-1.

შეგახსენებთ, რომ ვლადიკავკასელთა რიგებში (მთავარი მწვრთნელი ვ. ზაზაევი) რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი გამოდის.

ერთი და იმავე დროს

15 ნოემბერს გაიმართება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, გადაწყვეტი მატჩები შესარჩევ ჯგუფებში. უფასო მოთხოვნით ისინი დაიწყება ერთი და იგივე დროს, რის შესახებაც შესაბამისი წერილები დაეგზავნა ეროვნულ ფედერაციებს.

თურქეთის პრეზიდენტი ვიკარტას სოკს

თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა მიმართვა გაუგზავნა სოკის პრეზიდენტს სუან ანტონიო სამარანჩს. მიმართვაში ლაბარაკია 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე და სტამბულის განზრახვაზე უმასპინძლოს მას. დემირელი დაეცნო თურქეთის ეოკის ახალი შტაბ-ბინის პრეზენტაციას. შენობა მდებარეობს სტამბულის ევროპულ ნაწილში, იქ, სადაც ოლიმპიური სოფლის მშენებლობაა ნაგარაუდები. შეგახსენებთ, რომ სტამბულმა 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისათვის გამართული ბრძოლა ნააგო სიძენითადა.

**ფეხბურთის
საერთაშორისო
ფედერაცია**

**ფეხბურთის
ეროვნულ
ფედერაციებს —
ფიფას წევრებს**

ცირკულარი №668, მ. ციურნი.

ფეხბურთის საერთაშორისო დღე

პატივცემულ ბატონებო! სიამოვნებით გაცუბობინებთ, რომ ფიფამ მილო გაეროს სამდივნოს წინადადება ამ საერთაშორისო ორგანიზაციის 50 წლისთავის დღესასწაულის თაობაზე, სამდივნოსთან ჩამოყალიბებულია ქვეკომიტეტი „ტიმ უორლდ-95“-ის სახელწოდებით, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს საფეხბურთო სამყაროს ხელშეწყობა, რათა მან ერთ-ერთი ცენტრალური როლი ითამაშოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 50 წლისთავის დღესასწაულში.

ოფიციალურ პროექტს ეწოდება „დღე, როცა მთელი მსოფლიო ფეხბურთისთამაშობს“.

ამრიგად, გრინვიჩის დროით 15.00 საათიდან (19.00 თბილისის დროით) 1995 წლის შაბათს, 9 დეკემბერს, 10 დეკემბრის 15 საათამდე გაიმართება გაეროს იუბილეს ზეიმი და ჩვენ მოვუხმობთ მთელ მსოფლიოს ამ პერიოდში ითამაშოს ფეხბურთი, სულ ერთია, იქნება ეს პროფესიული გუნდების მატჩები, რეგულარული ეროვნული ჩემპიონატები, ეროვნული ნაკრები გუნდების, სამოყვარულო გუნდების, ვეტერანთა, ქაბუკთა, გოგო-

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მორიგი ტურის შეხვედრები.

ჩემპიონთა ლიგა

„ა“ ჯგუფი

„ნანტი“ (საფრანგეთი)	„ოლბორგი“ (დანია)	3-1
„პორტუ“ (პორტუგალია)	„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)	0-1
თ. მ. ფ. ბ. ქ.		
„პანათინაიკოსი“	2	2 0 0 4-1 6
„პორტუ“	3	1 1 1 2-1 4
„ნანტი“	3	1 1 1 4-4 4
„ოლბორგი“	2	0 0 2 1-6 0

„ბ“ ჯგუფი

„რუსენბორგი“ (ნორვეგია) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 2-4

„დეგა“ (პოლონეთი) — „ბლეკბერნი“ (ინგლისი) 1-0

„სპარტაკი“	3	3 0 0 7-3 9
„დეგა“	3	2 0 1 5-3 6
„რუსენბორგი“	3	1 0 2 5-3 3
„ბლეკბერნი“	3	0 0 3 1-4 0

„გ“ ჯგუფი

„იუვენტუსი“ (იტალია) — „გლზგო რინგერსი“ (შოტლანდია) 4-1

„ბორუსია“ (გერმანია) — „სტაუაუ“ (რუმინეთი) 1-0

„იუვენტუსი“
 3 | 3 0 0 10-2 9 || „ბორუსია“ | 3 | 1 1 1 4-5 4 |
| „სტაუაუ“ | 3 | 0 1 2 1-4 3 |
| „რინგერსი“ | 3 | 0 1 2 2-7 1 |

„დ“ ჯგუფი

„რეალ-მადრიდი“ (ესპანეთი) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) 6-1

„აიუსი“ (ჰოლანდია) — „გრასპოპერ“ (შვეიცარია) 3-0

„აიუსი“
 3 | 3 0 0 9-1 9 || „რეალი“ | 3 | 2 0 1 8-2 6 |
| „ფერენცვაროში“ | 3 | 1 0 2 5-11 3 |
| „გრასპოპერ“ | 3 | 0 0 3 0-9 0 |

თასების მფლობელთა თასი (მერვედფინალი)

„ტრაპუნსობორი“ (თურქეთი) — „დეპორტივო“ (ესპანეთი) 0-1

„ბორუსია“ (გერმანია) — აეკ (საბერძნეთი) 4-1

„ივერტონი“ (ინგლისი) — „ფეინოორდი“ (ჰოლანდია) 0-0

„სარაგოსა“ (ესპანეთი) — „პრიუგე“ (ბელგია) 2-1

„პალმსტადი“ (შვეიცია) — „პარმა“ (იტალია) 3-0

„პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 1-0

„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „რაიდი“ (ავსტრია) 2-0

„დინამო“ (მოსკოვი) — „გრაფც კრალოვე“ (ჩეხეთი) 1-0

საასუხო შეხვედრები გამართება 2 ნოემბერს

X ტურის

„მერისი“ — „გურია“ 1-0

„დურუჯი“ — „კახეთი“ 0-1

„სიონი“ — „ივერია“ 2-0

„დინამო“ თბ. — „შეგარდენი-1906“ 3-0

„სამტრედია“ — „მარგეტი“ 3-1

„დინამო“ ბთ. — „მეტალურგი“ 2-1

XI ტურის

„ტორპედო“ — „ვერისი“ 2-2

„მეტალურგი“ — „დინამო“ ზუგ. 3-1

„მარგეტი“ — „კოლხეთი-1913“ 4-2

„შეგარდენი-1906“ — „სამტრედია“ 1-4

„ივერია“ — „დინამო“ თბ. 1-1

„კახეთი“ — „სიონი“ 1-0

„გურია“ — „დურუჯი“ 4-1

არ შემდგარა X ტურის შეხვედრები „კოლხეთი-1913“ — „დილასა“ და „დინამო“ ზუგ. — „ტორპედოს“ შო-რის.

შეფას თასი (მეთექვსმეტედფინალი)

„ბრონდოუ“ (დანია) — „ლივერპული“ (ინგლისი) 0-0

„ოსერი“ (საფრანგეთი) — „ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი) 0-1

„რაიტროვერსი“ (შოტლანდია) — „ბაიერნი“ (გერმანია) 0-2

„ბორდო“ (საფრანგეთი) — „როტორი“ (რუსეთი) 2-1

„პარსელოანი“ (ესპანეთი) — „გამარაეში“ (პორტუგალია) 3-0

„რომა“ (იტალია) — „ალსტა“ (ბელგია) 4-0

„ვერდერი“ (გერმანია) — „დინამო“ (მინსკი) 5-0

„ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ეინდხოვენი“ (პოლონეთი) 3-5

„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „როდა“ (ჰოლანდია) 1-0

„სევილია“ (ესპანეთი) — „ოლიმპიკოსი“ (საბერძნეთი) 1-0

„აიუსერსლაუტერნი“ (გერმანია) — „ბეტისი“ (ესპანეთი) 1-3

„ილვანო“ (შვეიცარია) — „სლავია“ (ჩეხეთი) 1-2

„ჩერნომორცი“ (უკრაინა) — „ლანსი“ (საფრანგეთი) 0-0

„სტრასბური“ (საფრანგეთი) — „მილანი“ (იტალია) 0-1

„სპარტაკი“ (ჩეხეთი) — „ნიმბურ“ (მოლდოვა) 4-3

„ილინი“ (საფრანგეთი) — „ლაციო“ (იტალია) 2-1

საასუხო შეხვედრები — 31 ოქტომბერს

**ხელბურთი • ევროპის
საკლუბო ტურნირები**

37:15, 34:21.

ქალაქი.

ჩემპიონთა თასი. „პრემი“ (გერმანია) — „მარტივი“ 42:16; 46:14. თასების თასი. „რინი“ (იტალია) — „მ.კ. თბილისი“. ქართველი ფეხბურთელები არ გამოცხადდნენ. ფედ-

რაციის თასი. „ესკისები“ (თურქეთი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 30:13; 35:11.

ქვეყნების თასი. „ანტვერპენი“ (ბელგია) — „თბილისი“. მასპინძლობა უარი განცხადეს. შემდგომ ეტაპზე გავიდა ჩვენი გუნდი. მერვედფინალში „თბილისი“ დანის „ფრედრიკსბურგს“ შეხვედრა.

მატჩები გამართება 11-12 ნოემბერს, გამმოკრებითი შეხვედრები კი 18-19 ნოემბერს.

უცხოეთის ფეხბურთის აკადემია

● ბანინის რამდენიმე ახსნაგურის საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში.

უცხოეთში ფრედ ითამაშეს ფინეთის და თურქეთის ეროვნულმა გუნდებმა — 0-0. შოტლანდიის ნაკრებმა სტოკჰოლმში მატჩი იწვინა შევების გუნდთან შეხვედრაში — 0-2.

სხვა მატჩები ნორვეგია — ინგლისი 0-0, აშშ — საუდის არაბეთი 4-3, ბრაზილია — ურუგვაი 2-0, ჩილე — კანადა 2-0, მექსიკა — საუდის არაბეთი 2-1, არგენტინა — კოლუმბია 0-0, საბურთელოს აფრიკის რესპუბლიკა — მონაკო 3-2.

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ფრაი აველანე ამას ნინათ შეხვდა საკონტინენტო ფედერაციების ხელმძღვანელებს, საუბრის მთავარი თემა იყო პრობლემა საჭიროა თუ არა მკვეთრი რეფორმები 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ? ეტყობა, საკითხი ჯერჯერობით გადაუწყვეტელია, ვინაიდან ასეთივე შეხვედრა ხელახლა უნდა გაიმართოს 10 ნოემბერს.

● უშუალოდ წერილობითი საყვედურით მიმართა შევების ფეხბურთის ფედერაციის საჯარო პროტესტის იმ აქტის გამო, რომელიც ამ ქვეყნის ნაკრები ფეხბურთელებმა მოახვედრეს გეტბორგში, შევების გუნდთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ. სახელმწიფო პიშვების შესრულების დროს მათ ტრანსპარანტები გამოაჩინეს საფრანგეთის მიერ ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ.

● ტოპინს ეროვნულ სტადიონზე 50 ათასი მაყურებლის თანდასწრით შედგა ახსნაგურის შეხვედრა იაპონიის ვარსკვლავთა გუნდსა და ამ ქვეყანაში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელებს შორის. გაიმარჯვეს იაპონელებმა — 3-1.

● იბარინის გაბუნებები იუნჯებთან, რომ ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ბუბუტო, რომელიც ამჟამად ესპანეთის „დებორტალივო“ თამაშობს, მომავალი სეზონიდან იაპონიაში აპირებს გადასვლას.

● იბარინის „ინტერში“ წასვლას აპირებს მეტად პერსპექტიული ბრაზილიელი თავდასხმელი კაიო. მან თავი გამოიჩინა იუნჯორ ფეხბურთელთა ამასინანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე კატარში.

● აშშ-ში ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში საბურთელოს აფრიკის რესპუბლიკის „ორლანდო პირატსმა“ ანგარიშით 1-0 დაამარცხა უფანსი „ეტჰაპოსი“, ხოლო ევროპის „სამპლიონს“ ასეთივე ანგარიშით მოუგო კოსტა-რიკის „სანტა-დე-სანტა-სისილიას“. თასების მფლობელთა თასის ამავე ეტაპის მატჩები ასე დაითვალა: „მაკატიკი“ (მონაკო) — „ჯულიუს ბერგერი“ (ნიგერია) 0-0, „პლუტონი“ (ნიმბივე) — „კალილია“ (ალჟირი) 2-1. ამავე დროს მიმდინარეობს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის თასის გათამაშება: „ეტჰალო დოუ სახელი“ (ტუნისი) — „მალინი“ (ტანზანია) 1-0, „ინტერ კლავი“ (კონგო) — „კალუმ სტარზი“ (გინეა) 0-1. ამ შეხვედრებთან საპასუხო შეხვედრები გაიმართება 27-29 ოქტომბერს.

● 1996 წლის 6 აპრილს სტარტს აიღებს ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიული საფეხბურთო ლიგის პირველი ჩემპიონატი. ნიუ-იორკში გაიმართა ამ შეხვედრების ოფიციალური პრეზენტაცია. გათამაშების 10 მოწინავე გუნდი დაყოფილია ორ ზონად — დასავლეთის და აღმოსავლეთისა.

● ნორმანდის საკლუბო გუნდმა, ქ. ტრონ-პეისის „რუსენბორგმა“, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა (ეს მისი გამარჯვება, აქედან ოთხი — ზედმეტად) და ამას თასიც მიიყვანა. მან ფინალში 3-1 სძლია ბერგენის „ბრანს“. გამარჯვებულთა გოლები სტაურვიკმა (2) და პრატაპტამ გაიტანეს, საპასუხო ბურთი — იუნსენმა.

ნაესკენსი — „მოგალური ფეხბურთის“ ჩაინლი

1974 წლიდან პოლანდიელებს ფეხბურთის სამყაროში რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ ჰქონიათ, მერე კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. იკრუივმა და მისმა თაობამ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში სასახელო ფურცლები ჩაწერა. ამ თაობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი იოჰან ნესკენსი.

ი. ნესკენსი 1951 წლის 15 სექტემბერს დაიბადა პეშტეში, 1969-74 წლებში ნახევარმცველად თამაშობდა აშტერდამის „აიაქსში“, სწორედ იმ დროს, როცა გუნდმა გასაცარი წარმატებები მოიპოვა: ზედიზედ სამჯერ (1971, 1972, 1973) დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს, 1972 და 1973 წლებში კი სუპერთასიც მოიგო. ეს „სუპერმანქანა“, როგორც მამინ გუნდს უწოდებდნენ, რინუს მიკელსმა შექმნა, შემდეგ კი ბევრ წარმატებას მისმა მემკვიდრეებმა რუბინელმა სუვილიასტმა (ეროვნული უნგრელმა) სტეფან კოვაჩიჩმა მიიღწია. „აიაქსში“ ბევრი შესანიშნავი ოსტატი დანაწარმდა, მაგრამ მათ შორის გამოირჩეოდა იოჰან კრუიფი, რომელსაც მარს უბამდა უახლოესი მეგობარი ი. ნესკენსი.

შემდეგში „აიაქსის“ წარმატებებმა იკლ. კრუიფი და ნესკენსი ესპანეთის „ბარსელონაში“ გადავიდნენ, ნესკენსი აქ 1974-79 წლებში გამოდიოდა, შემდეგ ნიუ-იორკის „კოსმოსში“ გადასვლიდა (1979-84), თავისი კარიერა კი სამშობლოში, მოქალაქეულ „გროინგენში“ დაამთავრა (1984-85). ეროვნულ ნაკრებში ნესკენსს დებიუტი 1970 წლის 11 ნოემბერს ჰქონდა დრეზდენში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან (0-1), ნაკრებს კი 1981 წლის 18 ნოემბერს გაიშთაგა პარიზში, საფრანგეთის გუნდთან (0-2) მატჩის შემდეგ. ნაკრებში სულ 49-ჯერ ითამაშა, საიუბილეოდ ერთი მატჩილი დააკლდა.

როგორ ითამაშობდა იოჰან ნესკენსი? როგორც „მოგალური ფეხბურთის“ წარმომადგენელს შეეფერება — „კარიდან კარამდე“. მან სამ უწინმეტყველანეს შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა: მსოფლიო ჩემპიონატში 1974 წელს, ორი წლის შემდეგ ევროპის პირველობაზე, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. ამ სამივე ასპარეზობაში სრულად გამოავლინა მაღალი ოსტატობა, 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო სწრაფი გახდა. ჩემპიონატის შემდეგ იდავლურ ნაკრებში ერთბაშად სამი პოლანდიელი მოხვდა — მცველი კროლი, ნესკენსი და, რა თქმა უნდა, კრუიფი.

ოთხი წლის შემდეგ არგენტინაში პოლანდიელებმა, თუცა კრუიფი აღარ მყოფდნენ, კვლავ შესანიშნავად ითამაშეს, ბევრი სუვილიასტის აზრით ისინი სუბოდნენ კიდევ არგენტინელებს. ჩემპიონატის შემდეგ ნესკენსი კვლავ მოხვდა მსოფლიოს იდავლურ ნაკრებში, ზედიზედ მორად, ასეთი პატივი კი იშვიათად თუ ენიჭეს რუგბის ნილად.

ნესკენსი შემდეგ მწვრთნელად მუშაობდა, თუცა ამ სფეროში რაიმე თვალსაჩინო წარმატება არ ჰქონია. ალბათ იმიტომ, რომ დიდი ფეხბურთელებისგან იშვიათად გამოდის დიდი მწვრთნელი.



იოჰან ნესკენსი

ბივი თორელი

„მიაცხით ბურთი ასლან ხარბელიას!“

ასეთი ფაქტი სხვა რაღაც არ გვახსოვს — თბილისის დინამოელთა ახალბედამ ასლან ხარბელიამ დიდ ფეხბურთში გამოსვლის პირველსავე სეზონში მეტოქეთა კარში 12 ბურთი გაიტანა და უკან მოიტოვა ისეთი დაოსტატებული თავდასხმელები და ბომბარდირები, როგორც იყვნენ მიხილ იაკუშინი, სერგეი ილინი, ალექსანდრ პონომაროვი, გიორგი გლაზკოვი და სხვა. ამასთან ა. ხარბელიამ თავისებური რეკორდი დაამყარა — შედეგიანობით იგი მთელი 16 წელი ლიდერობდა კავშირში 18 წლის ფეხბურთელთა შორის, სანამ ტორბედოელმა ედუარდ სტრელცოვმა არ გაუსწრო.

იმ მდლდანი ფოთიდან იყო, რომელმაც თბილისის „დინამოს“ ბრწყინვალე ოსტატების მთელი პლეადა გამოუწერა და ლეგენდარული ბორის პაიჭაძის თავაკობით. ასეთი 18 ფეხბურთელი დავთვალეთ ბატონ ასლანთან ერთად.

წინ გვიდევს ომამდე გამოცემული ბუკლეტი თბილისის დინამოელთა შესახებ. სულ ბოლო ფოტოზე ხარბელია გამოასხული. არც არის გასაკვირი: იგი მაშინ ყველაზე ახალგაზრდა იყო ჩვენს გუნდში, მთელი 8 წლით უმცროსი თანაგუნდელებზე — ბორის პაიჭაძეზე, გიორგი ჭეჭელაძეზე, გრიგოლ გაგუაზე, ბორის ფროლოვზე, არჩილ კიკნაძეზე, „მარცხენა გარემარბი, ახალგაზრდა, მწარდი მოთამაშე ფეხბურთის 4 წელიწადი მისდევს. „დინამოში“ პირველი სეზონი — ვკითხულობთ დღეს უკვე უნიკალურ ბუკლეტში 14 წლის იყო, როდესაც ნახუტყვებმა ბიჭებმა თავიანთი გუნდის ცენტრალური თავდასხმელობა ანდეს. შორს წასვლა არ იყო საჭირო — ფეხბურთის მოედანი ხარბელების სახლის წინ მდებარეობდა. ერთი წლის შემდეგ ასლანი ფოთის ბავშვთა გუნდში მიიღეს. ამ დროისათვის ადგილობრივი ახალგაზრდობის აღიარებული კერები ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, გვაჩი ჭორბენაძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი უკვე თბილისში იყვნენ წამოსული და საქართველოს დედაქალაქის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის ღირსებას იცავდნენ.

მათი ადგილი ფოთის მთავარ სტადიონზე, ნავსადგურში ასლან ხარბელიამ, გოგი ანთაძემ და მათმა თანატოლებმა დაიკავეს. უსწავლოდ უყვარდა ფეხბურთი ასლანს, რომელსაც ტყუილს ბურთი უფროსმა ძმამ აკაკიმ (იგი ფოთის ნაკრებში თამაშობდა) და, რა თქმა უნდა, ბორის პაიჭაძემ შეაყვარეს.

1937 წელს რესპუბლიკის მოსწავლეთა პირველობა გაიმართა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის გუნდებს შორის. ასლანის გუნდმა ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის თბილისის გუნდიც, რომელიც სასწავლებელთა „მოლოტის“ ფეხბურთელთაგან შედგებოდა.

„ფოთელებს“ შემადგენლობაში ერთი ბატონ ბიჭი მყოფი, ცენტრში თამაშობს, ძალიან სწრაფია, სულ ბურთის გატანაზე უჭირავს თავი. თუ იმას „ჩაჯეტავთ“, თამაშს მოკვებთ“ — უთქვამს „მოლოტის“ ცნობილ მწვრთნელს ასირ გალპერინს თავისი შეგირდებისათვის. „მოლოტის“ მამნი კი მოუტეს, მაგრამ მოულოდნელად სოხუმე-

ლებთან წააგეს შინ 0:1. ფოთელები მთელი ორი ტაბი, „ასლანდენ“ მეტოქის კარს, ბურთი კი არა და არ გადიოდა. მოსკოვში, საკავშირო პირველობაზე, სოხუმელი მოსწავლეები გაემგზავრნენ ამსობაში ასლანმა ფრიალზე დაამთავრა სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ფოთელებმა ვანიკა კინჭურუიშვილმა და ტატე ჭორბიკიამ ა. ხარბელია უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელ ბორის სკოლანსვეს წარუდგინეს. ასლანმა ადგილი დაიკავა მათ გუნდში, რომელშიც იმხანად თამაშობდნენ აგრეთვე რეზო კავსაძე, ოტა ჟორდანი, შოთა ჯოჭია, სხვათა შორის, უნივერსიტეტელები 1938 წელს საკავშირო თასის გათამაშებაში ბათუმში შეხვედნენ ადგილობრივ „დინამოს“ და დასაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ 1:2, მერე კი, თავის მხრივ, ბათუმელებმაც წააგეს მომდევნო მატჩი თბილისში „დინამოსთან“ — 0:2.

იმავე წელს, შემოდგომაზე, უნივერსიტეტის გუნდი „დინამოს“ სტადიონზე თამაშობდა საკავშირო ტურნირში გამარჯვებულ „მოლოტთან“. მატჩის შედეგი პირდაპირ სენსაციური გამოდგა — დაუძარცვებელმა „მოლოტმა“ წააგო 0-7. სამი ბურთი იმ დღეს ა. ხარბელიამ გაიტანა. შეხვედრას დინამოელთა ახალი მწვრთნელი მიხაილ ბუტუსოვი (იგი ის იყო ჩამოვიდა მშობლიური. დენინგარდიდან) ესწრებოდა, რომელმაც ხარბელიას და ჭორბიკის „დინამოში“ გადასვლა შესთავაზა. ასლანმა მოულოდნელად უარი განაცხადა წინადადებაზე: „— თბილისში სასწავლებლად ჩამოვედი, ფეხბურთის სათამაშოდ კი არა! მხოლოდ სოხუმში ხარბელიას ახლა ბორის პაიჭაძე „შეუჩინა“, თან ახალბედებს დაპირდა, რომ სწავლას არ მოწყვეტდა — შეკრებასა და გასვლით მატჩებზე არ წაუყვანდა. გაგიგონია ასლანმა ისე კარად ითამაშა (მან მარცხენა ფლანგზე შეცვალა გამოცდილი ნიკოლაი სომოვი), ისე მოიერო დინამოელთა გუნდს, რომ თითქმის ყველა შეხვედრაში გამოჰყავდათ სათამაშოდ.

პირველსავე მატჩში მოსკოვის „დინამოსთან“, აპრილში რომ გაიმართა თბილისში, ახალბედებს გამოცდილი მცველი ვსეოლოდ რადიკოვსკი, მეურვეობდა“. მოსკოველი ფეხბურთელი, ცხადია, არ იცნობდა ხარბელიას და თავდაპირველად მინც-დამინც არ აქცევდა ყურადღებას. მერე, როცა ახალგაზრდა თბილისელი ორჯერ თუ სამჯერ გაეცა, იცოცხლდა, იკადრა თამაში. სწორედ იმ დღეს შედგა ჩვენს ფეხ-

პატიანი

ბურთში პირველად „მოხეტიალე ფორვარდის“ დებიუტი. ყველაფერი უნებლედ, სტიქიურად გამოვიდა — პაიჭაძე, რომელიც ჩვეულებრივად მარცხენა მხარეზე იმეორებდა, „ხელს უშლიდა“ ასლანს და ხარბელიას იძულებული იყო ცენტრში დაეკავებინა მისი ადგილი. სტუმართა მცველებს ვერაფერი გაეგოთ: თან გაჰყოლოდნენ თავიანთი „ვიზაგის“ თუ წინა დარჩენილებზე. ამსობაში თბილისელებმა ოთხი ბურთი გაიტანეს. თავისაში კი მხოლოდ ერთი მიიღეს!

ვეფერობთ, აქ საჭიროა გავისხენოთ ჩვენი გუნდის შემადგენლობა, ვინაიდან „დინამოს“ შედიხედ დამაჯერებლად მოგო რამდენიმე შეხვედრა და მ. ბუტუსოვი, ცხადია, არ ჩაჩრობდა შემადგენლობის შეცვლას. აი ისიც: დორხოვა. შვედულიძე, ფროლოვი, გაგუა, ჭორბენაძე, კელძიძე, ჭეჭელაძე. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ჭორბიკია, ხარბელია. თბილისელებმა დაამარცხეს მოსკოვის „ტორპედო“ (3:0), ცდა (2:1), დენინგარდის „სტალინიცი“ (3:1). რვა გოლიდან ასლანმა სამი გაიტანა. სამწუხაროდ, ჩვენებმა შემდგომ ვერ სძლიეს მოსკოვის „სპარტაკს“ (0:0), ხოლო დენინგარდის „ელექტრიკთან“, მოხედდად აშკარა უპირატესობა, დამარცხდნენ 0:1.

სწორედ იმ სეზონში გაიმართა ის ისტორიული მატჩი ცდა-სთან, 1:4-ს რომ ვაგვიდელი და... ნაჩ რომ მოვიგეთ. ჩვენი გუნდი პირველად გავიდა საბატო მეორე ადგილზე. ჩემპიონი „სპარტაკი“ გახდა, ცდა მესამე იყო, მოსკოვის „დინამო“ კი — მხოლოდ მეხუთე.

— ცდა-სთან მესამე და მეოთხე გოლი მე გავიტანე და პენალტიც „მოვიპოვე“ — გვეუბნება ა. ხარბელია — გრიგოლ ფედოვი, რომელიც „მეტალურგიდან“ ახალი გადმოსული იყო არმიელთა გუნდში, უყვიროდა თავის მცველებს: „ნე მოუტევე დერაჯტ ცეტოგო მაკანა?“

ასლან ხარბელია თამაშის დროს შესაშური ორიენტირებით გამოირჩეოდა, საუკეთესოდ ირჩევდა ადგილს კართან და გოლის გატანის იშვიათი ყნოსვა ჰქონდა (მოგვახსენებთ მას ამ მხრივ ყველაზე მეტად დინამოელთაგან რამაზ შენგელია დაემსგავსა). ა. ხარბელიას, ამ სწრაფ (100 მეტრის თანაგუნდელ არჩილ კიკნაძესთან ერთად) იმ 11 წამში ფარავდა, ენერგულ მოთამაშეს ვერ ნახავდით გაჩერებულს თამაშის დროს. მისი უსუსტი დარტყმების შემდეგ ბურთი ბადიდან გამოუტანათ ისეთ ადარებულ მეკარეებს, როგორც იყო „ვეფხვად“ წოდებული ალექსეი ნიმიჩი. ვლა-

დმერ ნიკანოროვი, ევგენი ფოკინი, ვიქტორ ნახუტკოვი, როგორ არ გავისხენოთ აქ ჩვენი ერთ-ერთი სპორტული კომენტატორის რადიორეპორტი: „ასლან ხარბელია შეიქრა მეტოქის საჭრამოში, როგორც — წუწუი შელა“.

აკი ამიტომაც მიმართავდა ხშირ-ხშირად თამაშის დროს თანაგუნდელებს ბორის პაიჭაძე: „ასლანს მიეციოთ პასი, ბურთი გადაუფეხე ხარბელიას, ჩნხი გოლს მინც გაიტანს“.

დაუფუჭარი მატჩი გაიმართა თბილისში 1946 წელს — ჩვენი „დინამო“ შეხვდა მოსკოველ თანაკლებლებს, ტრიუმფით რომ დაბრუნდნენ დიდი ბრიტანეთიდან. ქართველმა ფეხბურთელებმა ეს ლამაზი ბრძოლა 3:2 მოიგეს. გადაწყვეტი ბურთი სწორედ ასლანმა გაიტანა.

— ბორამ ძლიერად დაარტყა მოსკოველთა კარში, სახმრეთის მხარეს, ხომინა

თბილისის „დინამოში“, არამედ ყოფილ კავშირში, მხოლოდ დიდი, თამაშის დღეს, გამოცხადდა გუნდში — მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის საერთო საცხოვრებელი. მაგრა ნახაუსხევი იყო რა გვეყნა? ახალგაზრდა აპირან ტყუბუჩავა — ჩვენი მეორე მეკარე — ცოცხა ხელს ტყუბუჩავა და ამიტომ ბუტუსოვმა გადაწყვიტა კარში მინც დორხოვი დაეყენებინა. ჭერ მაგრადა გამოაჩინა, მერე გამოაჩინა ზოლოს კი მთელი საათი ავარჯიშა — დორხოვი თამაშზე გამოვიდა იმ დღეს შურამ მართლაც საუკეთესოდ ითამაშა (თუცა, არავის ცნობს, რომ ამაში წინა დღის დაღვამ უშელოა). ბურთი არ გაუშვია კარში, ერთადერთი გოლი გაიტანა მე შევეჭლი შეხვედრის მეხუთე წუთზე და, მოხედდად მეტოქის გააფთრებული „ტყუბუჩავა, ჩვენს კარში ბურთი არ გასულა.

ა. ხარბელია გოლის გატანის ილბლანი კი იყო, მაგრამ საერთოდ, უნდა ითქვას, არ სწყალობდა ბედი — გაუდებობი აწუხებდა მარჯვენა ფეხი (მულში წყალი უდებოდა), რის გამოც ბევრი მატჩი გაიცდინა. ტრავმა ჩვენს ფორვარდს 1940 წელს მოსკოვის „სპარტაკის“ კაპიტანმა ანდრეი სტაროტინმა მიყენა იმ მომენტში, როდესაც ასლანს ერთადერთი გოლი გაჰქონდა მასპინძელთა კარში (წავაგეთ 1:2). ირანში 1944 წლის ტურნეს დროს ხარბელიამ მხოლოდ პირველ მატჩში ითამაშა, მერე სიცხანმა სულ სათადარგო მოთამაშეთა სკამზე გაატარა. მომდევნო წელს, რომინეთში კი — კალათურთის თამაშის დროს გოგი ანთაძემ ატკინა ხელი და ასლანი საერთოდ არ გამოსულა მინდორზე. ასევე იყო 1946 წლის სეზონში, როდესაც ნატკენმა ფეხმა შეუშალა ხელი იფოსლავიის „პარტიზანთან“ ეთამაშა იმ ღირსსახსოვარ მატჩში.

1947 წლის სეზონში ა. ხარბელია კვლავ შეუდგა ინტენსიურ ვარჯიშს, მაგრამ თავი იჩინა ძველმა ტრავმამ და გადაწყვიტა კიდევ თავი დაენებებინა საყვარელი ფეხბურთისათვის. მისი ადგილი თბილისის „დინამოში“ ნიჭიერმა სპარტაკ ჭეჭელაძემ დაიკავა.

ასლან ხარბელიამ თავისი სწავლობით დაიწყო მუშაობა თბილისის სპეცერმალში — ჭერ საქონელმცოდნედ, მერე განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1960 წლიდან, მთელი 13 წლის განმავლობაში — დირექტორად. საქართველოს ვაჭრობის დამსახურებულმა მუშაკმა ა. ხარბელიამ თბილისის უნივერსიტეტი ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე სავაჭრო ობიექტად აქცია. უკანასკნელ დროს ა. ხარბელია საქართველოს კარილოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში. აქაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ამ ენერგიულმა ადამიანმა, რომლის თავდადებულ, სასრთან, ალლოიან თამაშს დღესაც საიმეოვნებო იფონებენ ფეხბურთის ძველი გულშემატკვრები.

ოქტა ნოქაძე

სურათში: ასლან ხარბელია. გადაღებულია 1946 წელს თბილისში „დინამოს“ და ცდა-ს მატჩის (1:1) დროს.

ფოტო ა. ხარბელიას არქივიდან





ეპროკა-97, ორი ტური

კალათბურთულ ვაშთა ეპროკის ჩემპიონატის შემსარჩმვე ციკლში უკვე ორი ტურის მატჩები გათამაშდა.

A ჯგუფი

ბოსნია-ბელარუსი	80:59 (44:45)
სლოვაკეთი-საქართველო	82:73 (41:29)
საბერძნეთი-ისრაელი	75:73 (28:35)
საბერძნეთი-ბელარუსი	77:82 (48:38)
საქართველო-ბოსნია	77:66 (30:28)
ისრაელი-სლოვაკეთი	86:69 (39:44)

მ.	წ.	ბ.	ქ.	
ისრაელი	1	1	159-144	3
ბოსნია	1	1	146-136	3
საქართველო	1	1	150-148	3
საბერძნეთი	1	1	152-155	3
სლოვაკეთი	1	1	151-159	3
ბელარუსი	1	1	141-157	3

B ჯგუფი

რუსეთი-გერმანია	98:75 (42:38)
ლატვია-ინგლისი	94:67 (44:32)
ესტონეთი-პორტუგალია	105:85 (61:38)
რუსეთი-პორტუგალია	90:70 (42:31)
ინგლისი-ესტონეთი	89:91 (40:49)
გერმანია-ლატვია	100:82 (44:44)

მ.	წ.	ბ.	ქ.	
რუსეთი	2	0	188-145	4
ესტონეთი	2	0	196-174	4
ლატვია	1	1	176-167	3
გერმანია	1	1	175-180	3
ინგლისი	0	2	156-185	2
პორტუგალია	0	2	155-195	2

C ჯგუფი

ფინეთი-უნგრეთი	94:75 (46:38)
ჩეხეთი-მაკედონია	85:72 (43:41)
იტალია-სლოვენია	76:63 (42:33)
მაკედონია-ფინეთი	94:102 (54:37, 83:83)
იტალია-უნგრეთი	94:68 (49:34)
სლოვენია-ჩეხეთი	81:82 (38:37)

მ.	წ.	ბ.	ქ.	
იტალია	2	0	170-131	4
ფინეთი	2	0	196-169	4
ჩეხეთი	2	0	167-153	4
სლოვენია	0	2	144-158	2
მაკედონია	0	2	166-187	2
უნგრეთი	0	2	143-188	2

D ჯგუფი

ბულგარეთი-პოლანდია	85:82 (40:33)
ხორვატია-თურქეთი	69:53 (24:25)
უკრაინა-რუმინეთი	93:60 (46:27)
რუმინეთი-ბულგარეთი	69:84 (37:43)
ხორვატია-პოლანდია	73:53 (33:25)
თურქეთი-უკრაინა	96:89 (39:37, 77:77)

მ.	წ.	ბ.	ქ.	
ხორვატია	2	0	142-106	4
ბულგარეთი	2	0	169-151	4
უკრაინა	1	1	182-156	3
თურქეთი	1	1	149-158	3
პოლანდია	0	2	135-158	2
რუმინეთი	0	2	129-177	2

E ჯგუფი

შვეიცარია-პოლონეთი	64:62 (26:34)
ბელგია-შვეიცარია	100:62 (55:22)
ლიტვა-საფრანგეთი	74:87 (45:39)
ლიტვა-პოლონეთი	108:96 (51:47)
შვეიცარია-შვეიცარია	63:57 (27:27)
საფრანგეთი-ბელგია	74:73 (34:35)

მ.	წ.	ბ.	ქ.	
საფრანგეთი	2	0	161-147	4
ბელგია	1	1	173-136	3
ლიტვა	1	1	182-183	3
შვეიცარია	1	1	121-125	3
შვეიცარია	1	1	125-157	3
პოლონეთი	0	2	158-172	2

P.S. III ტურის მატჩები გაიმართა 12 ნოემბერს. საქართველო ნაკრები ისრაელს უმასპინძლებს. 15 ნოემბერს ჩვენი კალათბურთელები მინსკში იასპარეზებენ ბელარუსის გუნდთან. მერე ჩემპიონატში სამთავრო არადადგები დაიწყება. ტურნირი განახლდება 28 თებერვალს საბერძნეთ-საქართველოს მატჩით. ეს იქნება პირველი წრის ბოლო შეხვედრა.



ნბა-ს ამბები

„ვაშინგტონ ბულიტსის“ ფორვარდი კრის უებერი ყველაზე ძვირადღირებული კალათბურთელი გახდა ნბა-ში. ამ დღეებში მან ახალი ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავის კლუბთან და მიიღო 57 მილიონი დოლარი, რაც სეზონში საშუალოდ 9,5 მილიონ დოლარს ნიშნავს. როგორც ამბობენ უებერმა მილიონნახევრით გადაჯარბა დერეკ კოლუმენის („ნიუ-ჯერსი“) ძველ რეკორდს.

აშშ-ს სტუმრებთან კალათბურთიდან ნბა-ში გადავიდა ჩეხი გეორგი ზიდეკი. მან გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი „შარლოტ ბორნეტთან“. გეორგიმ თანხა რატომღაც დასაიდუმლოებულია. ზიდეკი პირველი ჩეხი კალათბურთელია, რომელიც ნბა-ში ითამაშებს.

ფლეშტს „ჩიკაგო ბულსის“ ძირითადი ცენტრფორვარდი იქნება ავსტრალიელი ლუკ ლონგლი. ზულ უეკრულეების ვადაა სამი წელი. ლონგლი ნბა-ში 1991 წელს მივიდა. ჩიკაგოელთა მწვრთნელი ფილ ჯექსონი დიდ იმედებს ამყარებს ამ კალათბურთელზე, მისი აზრით, ავსტრალიელმა „წესრიგი“ უნდა დაამყაროს დაცვაში.

ბაიშარტის რამდენიმე ტრადიციული, სეზონისწინა ამხანაგური შეხვედრა ნბა-ს გუნდებს შორის. ბოლო ორი წლის ჩემპიონმა „ნიუ-ჯერსი-ჯეტსმა“ ხაიმ ოლაჯიჯონის გარეშე აჯობა „სან-ანტონიოს“ — 114:103. „ნიუ-იორკმა“ შედარებით ადვილად მოაგვარა საქმეები „ვაშინგტონთან“ — 110:88.

პროფესიულ რინგზე


ცნობილმა გერმანელმა მოკრივემ, მსოფლიოს ჩემპიონმა იბე-ს ვერსით პენრი მასკემ (79,4 კგ) მეშვიდედ დაიცვა ტიტული. ამჯერად მან მიუხედავად იმისა, რომ სტადიონზე 12-რაუნდის ბრძოლა მოულოდნელად გერმანელ პო-რაიციანო რონიგანის.

ბუენოს-აირესში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაიცვა 72,6 კგ-ში (ვა-ს ვერსით) 28 წლის ხორხე კასტრომ. მან ქულეებით აჯობა ამერიკელ რეჯი ჯონსონს.

გლაზგოში დიდი ბრიტანეთის ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში (53,5 კგ) ნოკაუტით დამარცხდა 25 წლის ჯეიმს მიურეი. მას აჯობა დრიუ დოპერტემ. მეორე დღეს მიურეი საავადმყოფოში გარდაიცვალა სისხლის ჩაქვებით. ამ ფაქტთან დაკავშირებით

ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციამ კიდევ ერთხელ მოითხოვა კრივის აკრძალვა.

ნიუ-იორკში დაიწყო ცნობილი პრომოუტერის, 62 წლის დონ კინგის სასამართლო პროცესი. მას ბრალად ედება უკანონო ფინანსური ოპერაციები (უფრო სწორედ მაქინაციები) ხულო სესარ ჩავესისა და პეროლდ ბრე-ზერის ბრძოლისათვის (1991 წელს) დაკავშირებით, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო არ შედგა. თუ თორმეტი ნაფიცო მსაჯული ჩათვლის, რომ კინგი დამნაშავეა, მას არ აცდება მძიმე სასჯელი (ხუთწლიანი პატიმრობა და დიდ ფულადი ჯარიმა). თუმცა, კინგისთვის ეს სიტუაცია არ არის უცნობი. იგი არაერთხელ იყო პასუხისმგებელი მიცემული სხვადასხვა დანაშაულისათვის.



ხუთი რგოლის ბარშემო

ატლანტის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე 283 დღით ადრე საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა ოლიმპიური მედლების ესკიზები (მედლებს, როგორც ცნობილია, მიიღებენ პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული სპორტსმენები). მედლების ერთ მხარეს გამოსახულია გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, ძველბერძნული სტადიონის ფრამენტები და ხუთი ერთმანეთში გადაჯვარებული რგოლი, მეორე მხარეს კი ატლანტის 1996 წლის ოლიმპიური თამაშების ემბლემა და სპორტის სახეობის პიკტოგრაფია. ესკიზის ავტორია ცნობილი დიზაინერი მალკომ გარი.

2004 წლის ოლიმპიური თამაშების

ორგანიზაციის სურვილი ოფიციალურად გამოთქვა: სანკტ-პეტერბურგმა, კვიპტუნმა, სტამბოლმა, სევილიამ, რომმა, სტოკჰოლმმა, სან-ხუანმა, რიო-დე-ჟანეირომ, ბუენოს-აირესმა, აგრეთვე საფრანგეთიდან წაიკეებულ იქნება ერთ-ერთი ქალაქი (ლილი ან ლიონი). 1997 წელს სოკი შეარჩევს 4 კანდიდატს, რომლებიც იმავე წლის სექტემბერში მონაწილეობას მიიღებენ საბოლოო კონკურსში.

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე კოზლოვსკიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ატლანტაში გაიმგზავრება დელეგაცია 480 სპორტსმენისა და 154 ოფიციალური პირის შემადგენლობით. ამით გარდა, ოლიმპიურ თამაშებს დაესწრება 500-მდე სტუმარი რუსეთიდან, უმთავრესად მწვრთნელები და სპორტის ვეტერანები. პირველი ჯგუფის გაფრენა აშშ-ში დაგეგმილია 12 ივლისისათვის.

ფრანსის ოლქის (იტალია) რეგიონალური ადმინისტრაცია იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული საკურო-

რტო ქალაქი 2006 წელს შეძლებს ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას. ეს განაცხადა მერის მოადგილემ კრისტიანო დეგანომ, რომელიც სპორტის საკითხებს განაგებს. შეგახსენებთ, რომ ჯერჯერობით ანალოგიური სურვილი გამოთქვა მხოლოდ სლოვენის სამთო კურორტმა კრანსკა გორამ.

აშშ-ს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მორიგ სხდომაზე მოაწყო თავისი ოთხწლიანი ბიუჯეტის რევიზია. როგორც ცნობილია, ეს ბიუჯეტი დეგმა ზაფხულის ერთი ოლიმპიადიდან მეორემდე. დახუსტდა, რომ ბიუჯეტის თანხა 415 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც უმთავრესად არსებული სპორტული ცენტრების შენახვასა და ახლის მშენებლობას ხმარდება.

ამიერიდან იტალიელ სპორტსმენებს, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებზე მედლებს მოიპოვებენ, დაენიშნებათ პენსია. პენსიას ისინი მიიღებენ 45 წლის ასაკში, თუ, რა თქმა უნდა, თავს დაანებებენ დიდ სპორტს. იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მარიო პესკანტეს განცხადებით, ამ კანონის თანახმად იტალიელ სპორტსმენებს სიბერე უზრუნველყოფილი ექნებათ.

პარზში მოეწყო პრეზენტაცია იმ სპორტსმენებისა, რომლებსაც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში მედლებს მოიპოვებს შანსი აქვთ. შეხვედრას ესწრებოდნენ მძღოლსმენები დანიელ სანგუმა და ჟან-შარლ ტრუბალი, როგორც კავშირები ფილიპ ომენსი და ერიკ სრეკი, ველოსიპედისტი ფელიპე ბალა-ნევი, კატრინ მარსალი, ფრედერიკ მანიე, ფლორიან რუსო და სხვ. პრეზენტაციაზე საფრანგეთის ეოკის პრეზიდენტმა ანრი სერანდურმა და „ადიდის-ფრანსის“ ფირმის ხელმძღვანელმა ოლივიე ბულემ განაცხადეს, რომ საფრანგეთის მთელი ოლიმპიური დელეგაცია ეკიპირებული იქნება ამ ფირმის ნაწარმით. აქვე ითქვა, რომ ოლიმპიადის პრიზიორები „ადიდის“ ფირმისგან დამატებით მიიღებენ: პირველი ადგილისათვის 200 ათას ფრანკს (40 ათას დოლარს); მეორე ადგილისათვის 100 ათას, მესამე ადგილისათვის კი 50 ათას ფრანკს.

პროსპორდი • პროსპორდი • პროსპორდი

1 2 3 4
5 6 7 8
9 10 11 12
13 14 15 16
17 18 19 20
21 22 23 24
25 26 27 28
29 30 31 32 33
34 35

თარაზულად: 5 სატანვარჯიშო იარაღი — ორბირთვი, 6. მკაცრი ჯარიმა ფეხბურთში, 9. ველო-მოტო საასპარეზო, 10. საფეხბურთო სკოლა თბილისში, 11. ჰიდრომა, კაცთ ჰიდრომა (საბა)... 14. ყოფილი სპორტსაზოგადოება საქართველოში, 15. ცნობილი იაპონელი ტანმოვარჯიში, ოლიმპიური ჩემპიონი (1964 წ.), 18. კალათბურთის სათამაშოდ გამართული მოწყობილობა, 19. შოტლანდიელი ველომრბოლი, 21. პარტია ჩოგბურთში, 23. მუჰამედ ალის აღნიშნული გვარი, 25. მსოფლიო ჩემპიონი ჰადრაკში, 26 ტიმ სევერინის ხომალდის სახელი, რომლითაც ის ბერძენთა ნაკვალევზე ჩამოვიდა საქართველოში, 27. სსრ კავშირის ნაკრების წევრი, რუსი ფეხბურთელი, ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატის (1966) მონაწილე, 30. ორთაბრძოლა... 31. ხელში სატრიკლებელი ტანვარჯიშული იარაღი, 33. ურარტუს მეფე, რომელიც ცხენ არცხობით 22 წყრთაზე გადახტა, 34. ქვეყანა, რომელმაც მაკაბაიდის ჩატარება დაამკვიდრა, 35. ცნობილი ესპანელი ჩოგბურთელი.

შპეულად: ჩოჩი შვილის მეტოქე — იაპონიაში გამართულ საგანგებო შეხვედრაში, 2. ფრუნზეს საფეხბურთო გუნდი, 3. ფეხბურთში ვერობის ასოციაცია, 4. ცურვაში (4X100 მ.) ოლიმპიური ჩემპიონი (1972) აშშ-დან, 7. სპორტში ასაკობრივი კატეგორია, 8. დახურული სპორტული სასპარეზო ან შემოღობილი მოედანი... 12. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 13. სამედიცინო პრეპარატების სახელწოდება, რაც სპორტსმენებს ეკრძალებათ, როგორც დოპინგის შემცველი საშუალება, 16. კანტორა, უწყება, სამმართველო, 17. ვეტერანი ქუთისელი ფეხბურთელი, 20. სპორტული ჩასაცემი, 22. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, 24. იაპონელი მაგიდის ჩოგბურთელი მრავალჯგის მსოფლიო ჩემპიონი, არაერთი დოკუმენტური ფილმის შემქმნელი, 28. ცნობილი მოჭადრაკე, უზრუნველს, 29. ვეტერანი უნგრელი ფეხბურთელი, 32. გერმანელი ფეხბურთელი.

მთავარი რედაქტორი: თინათინ ბანიანი

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულად საქართველოს ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი სპორტული მუშაკი ასოციაციის წევრი

აპთანდილ ბლიაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 24.X. 14 სთ. ზარზმის, 8 (ჩაის ფაბრიკასთან).